

გაერთში ფიქრობენ, რომ ტერორისტები ბომბებს ნოუთბუქებში დამადავენ



გაერთს ანტიტერორისტული კომიტეტის აღმასრულებელი მდივნი ეხმაურა აშშ-სა და ევროკავშირის გადაწყვეტილებას, რომ არ აკრძალონ თვითმფრინავებში ნოუთბუქისა და პლანშეტური კომპიუტერების შეტანა.

ჟან-პოლ რაბორდის აზრით, შორს არ არის ის დრო, როდესაც ტერორისტები თვითმფრინავში ტერაქტის მოსაწყობად ნოუთბუქში ჩამონტაჟებულ ასაფეთქებელ მოწყობილობას გამოიყენებენ.

“საკითხი უნდა დავსვათ ასე – როდის მოხდება ეს და არა – მოხდება თუ არა ეს,” – აცხადებს რაბორდი.

გაერთს წარმომადგენელს მიაჩნია, რომ ევროპულ და ამერიკულ ავიარეისებზე მსგავსი ტერაქტის მოწყობის საფრთხე ძალიან დიდია. იგი აცხადებს, რომ უკვე საკმაო ხანია ვრცელდება ინფორმაცია, რომ ტერორისტები ცდილობენ ასაფეთქებელი მოწყობილობები ნოუთბუქებით, პლანშეტებით, DVD-პრეერებითა და სხვა ელექტრონული აპარატურით შენიღბონ, რაც მათ თვითმფრინავის ბორტზე შეუმჩნეველ გატანს უზრუნველყოფს.